ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6313108

ნომერი: AR1933701

თარიღი : 13.11.2022

გაცემის თარიღი : 03.02.2023

გაცნობის თარიღი : 03.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თავისუფლების ქუჩა, N 14ბ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცქიტიშვილი , N35-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ კალაძე პ/ნ 01010015517
- ქ. თბილისი, მირიან მეფის #29

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1933701 განცხადებით მომართა მოქალაქე ბესიკ კალაძემ და მოითხოვა სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ტერიტორის საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით და დამატებით მომიჯნავე მიწის ნკავეთის დამატება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 ბრძანებით, ქალაქი თბილისი , ქუჩა ცქიტიშვილი , N35-ის მიმდებარედ (ს/კ: №72.12.03.427), ფართობი: 2085.00 კვ.მ.) მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 28/09/2022 წლის № 6141671 ბრძანებით შევიდა ცვლილება ზემოაღნიშნულ გაპში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო კოდ(ებ)ი: №72.12.03.427; №72.12.03.546; №72.12.03.043; №72.12.03.547; ფართობი: 2085 კვ.მ.; 275 კვ.მ; 148 კვ.მ; 202 კვ.მ).

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 21/06/2021 წლის №5458988 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში:
   - დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები, კერძოდ: ს.კ 01.72.12.130.001 (ფართობი 2710.00 კვ.მ; რეგისტრაციის ნომერი:N 882022943238; მომზადების თარიღი 19/12/2022) და ს.კ 01.72.12.130.002 (რეგისტრაციის ნომერი : 882022880111; მომზადების თარიღი 01/02/2023).
   - პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნას ნაკვეთები გაერთიანებული კონფიგურაციით.
   - გათვალისწინებულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 16/12/2022 წლის N 18-01223502745 წერილი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21/06/2021 წლის №5458988 და 28/09/2022 წლის № 6141671 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.